სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

სტრატეგიის დოკუმენტი

2021-2025 წლები

2020 წელი

I. შესავალი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2021-2025 წლების სტარტეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც ცენტრი იხელმძღვანელებს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით ცენტრი უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრის ხედვას, ინსტიტუციის მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

სტრატგიული გეგმის შემუშავების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის დასაწყისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცენტრის სტრუქტრული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (SWAT ანალიზი) და ამპროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ცენტრის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ამ პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული ცენტრის 2016-2020 წლების სტრატეგიული ციკლის შეფასების დოკუმენტი, ძირითადი მიგნებები, რეკომენდაციები, ასევე, ჩატარებული კვლევები ცენტრის მომხმარებელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით გადაიხედა ცენტრის არსებული ხედვა, მისია და ღირებულებები.

სამუშაო პროცესი ასევე მოიცავდა სამთავრობო სტრატეგიული დოკუმენტებისა და ანგარიშების მიმოხილვას. ცენტრის ახალი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები. უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განათლების სფეროში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები, ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგი“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონიის პროცესის მოთხოვნები, ასევე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელის (ENQA) მიერ 2019 წელს ჩატარებული ცენტრის გარე შეფასების დოკუმენტი და რეკომენდაციები.

სტარტეგიული გეგმის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ხარისხის უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ცენტრის სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

ცენტრის სტარტეგიული გეგმის და 2021 წლის სამოქმედი გეგმის პროექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინშეხვედრები ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან და ცენტრის ექსპერტთა კორპუსის წევრებთან. ჩატარებულ ონლაინშეხვედრებს 500-მდე პირი დაესწრო. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ ცენტრის სტარტეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნაა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

I თავი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხედვა, მისია და ღირებულებები

ცენტრის ხედვა:

ცენტრი წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონულ ჰაბს, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრს.

ცენტრის მისია

ცენტრის მისიაა განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული სერვისების გაწევისა და ხარისხზე ორიენტირებული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით.

ცენტრის ღირებულებები:

ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

ობიექტურობა: ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ასევე თვითშეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

გამჭირვალობა: ჩვენს საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

მიუკერძოებლობა: ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

თანამშრომლობა: ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

განვითარება და ინოვაციურობა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. იმავეს ვთავაზობთ განათლების პროვაიდერებს და იმავეს ველოდებით ჩვენი პარტნიორებისაგან.

II თავი. სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი № 1: ცენტრის ორგანიზაციული მოწყობით, რესურსებითა და მიმდინარე პროცესებით უზრუნველყოფილია მისი ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა

ამოცანა 1.1: უზრუნველყოფილია ცენტრის საჭიროებებზე მორგებული ორგანიზაციული მოწყობა და მისი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა

ამოცანა 1.2: ცენტრის მატერიალურ -ტექნიკური ბაზა, პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის პოლიტიკა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ორიენტირებულია ცენტრის განვითარებასა და ეფექტურ მუშაობაზე

ამოცანა 1.3: უზრუნველყოფილია რესურსების რაციონალური დაგეგმვა/გამოყენება და გაზრდილია ცენტრის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი

ამოცანა 1.4: ცენტრის საქმიანობა მიმდინარეობს გამჭირვალედ, დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

ამოცანა 1.5: ცენტრში დანერგილია საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

ამოცანა 1.6: ცენტრის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპის გამოყენებით

ამოცანა 1.7: ცენტრს გააჩნია საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა და დადებითი იმიჯი

სტრატეგიული მიზანი № 2: საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ცენტრი აქტიურად იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას

ამოცანა 2.1: ცენტრი ინარჩუნებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების საერთაშორისო და ევროპული ქსელების წევრობას და თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სხვა სააგენტოებთან

ამოცანა 2.2 ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სისტემის ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან შესაბამისობის კოორდინაციას

ამოცანა 2.3 ცენტრი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის დროს ითვალისწინებს საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას

ამოცანა 2.4: ცენტრი ხელს უწყობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის დადებითად წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე

ამოცანა 2.5: ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თავსებადობას უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან

ამოცანა 2.6: ცენტრი უზრუნველყოფს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დაახლოებას „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის“ და „განათლებისა და ტრენინგის სფეროების დეტალური აღწერის“ დოკუმენტებთან

სტრატეგიული მიზანი № 3: ცენტრის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია

ამოცანა 3.1: ცენტრის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისები შინაარსობრივად და პროცედურულად გამართულია

ამოცანა 3.2: გამარტივებული საქმისწარმოების ადმინისტრაციული პროცედურების შედეგად გაუმჯობესებულია ცენტრის სერვისების მიწოდების ხარისხი

ამოცანა 3.3: საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ ცენტრის მხარდამჭერ სერვისებს

ამოცანა 3.4: საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების გამჭირვალობა და სანდოობა უზრუნველყოლია

სტრატეგიული მიზანი № 4: დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს, საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს

ამოცანა 4.1: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ხელს უწყობს ავტორიზაციის პროცესის გამჭვირვალეობას და ზრდის საქართველოში მიღებული ზოგადი განათლებისადმი სანდოობას

ამოცანა 4.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები

ამოცანა 4.3: უცხოური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აღიარების გამჭვირვალე პროცედურა ხელს უწყობს, ქვეყნის ტერიტორიაზე, ისეთი საერთაშორისო პროგრამების ხელმისაწვდომობას, რომლებიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან თავსებად, ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული კურიკულუმის განხორციელების გზით, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას

სტრატეგიული მიზანი № 5: მოქმედებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო, ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს/ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში საქართველოში გაცემული კვალიფიკაციებისადმი ნდობას სწავლის გაგრძელების ან/და ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების მიზნებისათვის

ამოცანა 5.1: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების ან/და უფლების მოპოვების სტანდარტები და არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროცესის გამჭირვალობას, სანდოობას და მასში კერძო სექტორის ჩართულობას

ამოცანა 5.2: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების დადასტურების ან/და უფლების მოპოვების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულნი არიან პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სერტიფიცირებული სპეციალისტები და მაღალი პროფესიული რეპუტაციის მქონე დარგის სპეციალისტები

ამოცანა 5.3: მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებისა და განახლების ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათი შინაარსის შესაბამისობას ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნებთან, განვითარების ტენდენციებთან, ასევე იძლევა საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მოქნილობის შესაძლებლობას

ამოცანა 5.4: პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განაპირობებს პროცესის სანდოობას

ამოცანა 5.5: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ერთობლივი და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი მექანიზმების გამოყენების გზით ხელს უწყობს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციას და პროფესიული განათლების მიწოდების ეფექტიანობის ზრდას

სტრატეგიული მიზანი №6: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული გარე მექანიზმები ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს და სრულად არის ჰარმონიზებული საერთაშორისო სტანდარტებთან

ამოცანა 6.1: უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები სრულად ჰარმონიზებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG) და ამავდროულად ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს

ამოცანა 6.2: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები

III თავი. ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად, სპეციალური ელექტრონული პორტალის გამოყენებით. ცენტრის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამაბელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგად მუშავდება 2 ტიპის ანგარიში: პროგრესანგარიში (პერიოდულობა 3, 6 და 9 თვე) და წლიური ანგარიში. წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების, სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და სტრატეგიის შემაჯამებელი შეფასების ანგარიშები ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული ვადების შესაბამისად.